# საქართველოს მთავრობის
# დადგენილება

N 646 2019 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

## „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 21/04/2015; 470000000.10.003.018554) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის 21-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 21. პროგრამის ბიუჯეტი**

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 7,234.3 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

| № | კომპონენტის დასახელება | ბიუჯეტი (ათასი ლარი) |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| 1 | სკრინინგული კვლევის კომპონენტი | 1,272.0 |
| 2 | დიაგნოსტიკის კომპონენტი | 5,582.0 |
| 3 | მკურნალობის კომპონენტი | 59.3 |
| 4 | ლოჯისტიკის კომპონენტი | 321.0 |
| | სულ: | **7,234.3** |

.“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი გახარია**